

ძალაშია 1999 წლის 23 იანვრიდან

## ხელშეკრულება

საქართველოსა და თურქმენეთს შორის  
სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე  
სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ

საქართველო და თურქმენეთი, შემდგომში ხელშეკრულების მონაწილე მხარეებად წოდებულნი, ხელმძღვანელობენ რა სურვილით განამტკიცონ ორ ქვეყანას შორის მეგობრული კავშირები და დაარეგულირონ სამართლებრივი ურთიერთდახმარების აღმოჩენა ნაციონალური დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, უფლებათა თანასწორობისა და შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საკითხებზე,

გადაწყვიტეს დადონ ხელშეკრულება სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების აღმოჩენის შესახებ და ამ მიზნით შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი 1

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები და იურიდიული პირები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე სარგებლობენ თავიანთი პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების ისეთივე სამართლებრივი და სასამართლო დაცვით, როგორც ამ მხარის საკუთარი მოქალაქეები და იურიდიული პირები.

მათ აქვთ უფლება ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად მიმართონ სასამართლოებსა და იუსტიციის ორგანოებს, რომელთა კომპეტენციასაც განეკუთვნება სამოქალაქო, საოჯახო, სისხლის სამართლის და სხვა საქმეები, თავიანთი უფლებებისა და ინტერესების იმავე პირობებითა და იგივე ფორმალობების დაცვის მიზნით, როგორც ამ მხარის მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს.

მუხლი 2

სამართლებრივი ურთიერთდახმარების აღმოჩენა, ამ ხელშეკრულებაში მოცემული დებულებების შესაბამისად, ხორციელდება ცენტრალური ორგანოების, კერძოდ კი, იუსტიციის სამინისტროების მეშვეობით.

ცენტრალური ორგანოები ერთმანეთს უკავშირდებიან შემკითხველი მხარის

ენაზე ან რუსულ ენაზე და ეს კავშირები ხორციელდება უფასოდ.

### მუხლი 3

ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა იუსტიციის სამინისტროები, თხოვნის საფუძველზე, აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას თავიანთ ტერიტორიაზე მოქმედი ან აღრე მოქმედი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის, იმ სამართლებრივი საკითხების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების საგანს.

### მუხლი 4

ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა კომპეტენტური ორგანოები კისრულობენ ვალდებულებას აღმოუჩინონ ერთმანეთს სამართლებრივი დახმარება სამოქალაქო საქმეებზე.

მოცემული ხელშეკრულების მიზნების გათვალისწინებით, სამოქალაქო საქმეები მოიცავს სამოქალაქო სამართალს, საოჯახო სამართალს და სავაჭრო სამართალს.

სამართლებრივი ურთიერთდახმარების აღმოჩენა მოიცავს პროცესუალური მოქმედებების შესრულებას, კერძოდ, დოკუმენტების გადაგზავნას, ექსპერტიზის ჩატარებას, მხარეთა, მოწმეთა და ექსპერტთა მოსმენას, აგრეთვე გადაწყვეტილებათა აღსრულებას და სხვა.

### მუხლი 5

თხოვნაში სამართლებრივი დახმარების შესახებ მითითებული უნდა იყოს:

- ა) შემსრულებელი და შემკითხველი ორგანოების დასახელება;
- ბ) საქმის შინაარსი, რომლის თაობაზეც იგზავნება თხოვნა სამართლებრივი დახმარების აღმოსაჩენად;
- გ) მხარეთა სახელები და გვარები, მათი საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, მოქალაქეობა და პროფესია (საქმიანობა);
- დ) მხარეთა წარმომადგენლების გვარები, სახელები და მისამართები;
- ე) თხოვნის შინაარსი და შესრულებისათვის საჭირო ინფორმაცია;
- ვ) თხოვნის შინაარსი, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე, აგრეთვე დანაშაულის შემადგენლობის აღწერა.

სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ თხოვნა და თანდართული დოკუმენტები უნდა იყოს ხელმოწერილი და დამოწმებული ოფიციალური ბეჭდით.

### მუხლი 6

სამართლებრივ დახმარების შესახებ თხოვნის შესრულებისას, შემსრულებელი ორგანო გამოიყენებს თავისი ქვეყნის კანონმდებლობას, თუმცა, შემკითხველი ორგანოს თხოვნით, მას შეუძლია გამოიყენოს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის პროცესუალური ნორმები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის კანონმდებლობას.

თუ სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნის შესრულება არ შედის შემსრულებელი მხარის დაწესებულების კომპეტენციაში, იგი მას გადაუგზავნის

შემსრულებელი მხარის კომპეტენტურ ორგანოს და ამის შესახებ აცნობებს შემკითხველ დაწესებულებას.

შემსრულებელი დაწესებულება აცნობინებს შემკითხველ დაწესებულებას თხოვნის შესრულების თაობაზე ან აცნობებს დავალების შესრულების ხელშეწყობელი გარემოებების შესახებ და უბრუნებს მას დოკუმენტებს.

## მუხლი 7

შემსრულებელი დაწესებულება დოკუმენტების გაცემას ახორციელებს თავის სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობის წესების შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ გასაცემი დოკუმენტები შედგენილია შემსრულებელი მხარის ენაზე ან დართული აქვს ამ მხარის ენაზე დამოწმებული თარგმანი. სხვა შემთხვევებში შემსრულებელი დაწესებულება გადასცემს დოკუმენტებს აღრესაგს, თუკი უკანასკნელი დათანხმდება მათ მიღებაზე.

დოკუმენტების გადაცემის შესახებ თხოვნაში მითითებული უნდა იყოს მიმღების მუსტი მისამართი და გადასაცემი დოკუმენტების დასახელება.

იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტები ვერ გადაეცემა მისამართზე, რომელიც მითითებულია გადაცემის შესახებ თხოვნაში, შემსრულებელი დაწესებულება ღებულობს აუცილებელ ზომებს მიმღების მუსტი მისამართის დასადგენად. თუ მუსტი მისამართის დადგენა შეუძლებელია, შემსრულებელი დაწესებულება აცნობებს ამის შესახებ შემკითხველ დაწესებულებას და უბრუნებს მას გადასაცემ დოკუმენტებს.

## მუხლი 8

დოკუმენტების გადაცემის დასტური ფორმდება შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე მოქმედი ნორმების შესაბამისად. გადაცემის დასტურში მიეთითება გადაცემის ადგილი და თარიღი, აგრეთვე მიმღების ხელმოწერა.

## მუხლი 9

ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე კისრულობს ყველა ხარჯებს, რაც დაკავშირებულია თავის ტერიტორიაზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების აღმოჩენასთან და არ მოითხოვს მათ ანაზღაურებას.

## მუხლი 10

სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნაზე უარი შეიძლება ეთქვას, თუ მისი შესრულება ზიანს აყენებს ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის სუვერენიტეტს, უშიშროებასა და საზოგადოებრივ წესრიგს.

## მუხლი 11

სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნას, აგრეთვე თანდართულ დოკუმენტებს, გარდა შემთხვევებისა, რომლებსაც ითვალისწინებს ხელშეკრულების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-14 მუხლი, თან უნდა ერთვოდეს შემსრულებელი მხარის,

ან რუსულ ენაზე დამოწმებული თარგმანი.

თარგმანი მოწმდება შემსრულებელი დაწესებულების, ოფიციალური თარჯიმნის, ნოტარიუსის ან, ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მიერ.

სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნის შესრულებისას გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ენა.

## მუხლი 12

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს უფლება აქვთ გადასცენ დოკუმენტები და დაკითხონ საკუთარი მოქალაქეები თავიანთი დიპლომატიური წარმომადგენლობების ან საკონსულო დაწესებულებების მეშვეობით. ამასთან, არ შეიძლება გამოიყენებულ იქნას იძულებითი ხასიათის ზომები.

## მუხლი 13

მოწმე ან ექსპერტი, რომელიც გამოძახების საფუძველზე ნებაყოფილობით გამოცხადდა ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის იუსტიციის დაწესებულებაში, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის ტერიტორიაზე არ შეიძლება იქნას დევნილი ან აყვანილი პატიმრობაში ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის საზღვრის გადალახვამდე ჩადენილი რაიმე სისხლის სამართლის დასჯადი ქმედებისათვის, აგრეთვე არ შეიძლება დაისაჯოს ადრე გამოტანილი განაჩენის საფუძველზე.

მოწმე ან ექსპერტი კარგავს ამ იმუნიტეტს, თუ 15 დღის განმავლობაში შეგყობინებიდან, რომ მისი დასწრება აუცილებლობას არ წარმოადგენს, არ დატოვებს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიას. ამ ვადაში არ ჩაითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც მოწმეს თუ ექსპერტს მისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო არ შეეძლო დაეტოვებინა ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორია.

ეს პირები არ შეიძლება დევნილი ან პატიმრობაში იყვნენ აყვანილნი იმ ჩვენებებისა და დასკვნების გამო, რომლებიც მათ მისცეს, როგორც მოწმეებმა ან ექსპერტებმა.

შემკითხველმა დაწესებულებამ უნდა აცნობოს მოწმის ან ექსპერტის სახით გამოძახებულ პირს, რომ მას აუნაზღაურდება მგზავრობასთან და ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯები, ხოლო ექსპერტს, - აგრეთვე მიეცემა გასამრჯელო, რომელსაც ითვალისწინებს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის კანონმდებლობა შესაბამის შემთხვევაში. ამ პირის თხოვნის საფუძველზე მითითებული დაწესებულება უხდის ავანსს მგზავრობასა და ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად.

ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის დაწესებულებაში სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ თხოვნის საფუძველზე, მოწმის ან ექსპერტის სახით გამოძახებულ პირს უფლება აქვს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე ან სხვა ფუნქციების შესრულებაზე, თუ უარის თქმის უფლება ან ვალდებულება გათვალისწინებულია ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი ან შემკითხველი მხარის კანონმდებლობით. ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის

იუსტიციის დაწესებულებებმა, აუცილებლობის შემთხვევაში, თხოვნას თან უნდა დაურთოს ცნობა კანონმდებლობის შესახებ, რომელიც ეხება ზემოთხსენებულ უფლებებსა და ვალდებულებებს.

#### მუხლი 14

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის სასამართლოთა და სხვა კომპეტენტურ ორგანოთა თხოვნით, მეორე მხარე წარუდგენს მათ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წიგნიდან ამონაწერებს და სხვა დოკუმენტებს, რომელიც შეეხება შემკითხველი მხარის პირად უფლებებსა და ინტერესებს უფასოდ და თარგმნის გარეშე.

#### მუხლი 15

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ტერიტორიაზე კომპეტენტური ორგანოების მიერ შედგენილი, გაცემული, დადასტურებული და ოფიციალური ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტები, აგრეთვე მათი დამოწმებული ასლები ან მათგან ამონაწერები არ საჭიროებენ ლეგალიზაციას მეორე მხარის ტერიტორიაზე.

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ტერიტორიაზე გაცემული ოფიციალური დოკუმენტები მიიჩნევა ოფიციალურ დოკუმენტებად მეორე მხარის ტერიტორიაზე.

#### მუხლი 16

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის სასამართლოებში თავისუფლებიან სასამართლო გადასახადებისაგან და ხარჯებისაგან, სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარებით იმავე პირობებით და იგივე მოცულობით, როგორც ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის მოქალაქეები.

სასამართლო გადასახადებისა და ხარჯებისაგან გათავისუფლება, უფასო იურიდიული დახმარების აღმოჩენა შეეხება ყველა პროცესუალურ მოქმედებებს, გადაწყვეტილების აღსრულების ჩათვლით.

მოქალაქეები, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე მხარის სამართლებრივი ნორმების შესაბამისად თავისუფლებიან სასამართლო გადასახადებისა და ხარჯებისაგან სასამართლოში რაიმე საქმის განხილვის დროს, სარგებლობენ ამ რეჟიმით მეორე მხარის ტერიტორიაზე იგივე საქმეზე წარმოებული პროცესუალური მოქმედებების მიმართაც.

#### მუხლი 17

დოკუმენტი პირადი, ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის შესახებ, რომელიც აუცილებელია მ-16 მუხლში გათვალისწინებული შეღავათების მოსაპოვებლად, გაიცემა ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტური ორგანოების მიერ, რომლის ტერიტორიაზეც განმცხადებელს გააჩნია საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი.

თუ განმცხადებელს არ გააჩნია ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა გერიგორიაზე საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, განსაზღვრული პროცესუალური მოქმედებების შესრულებისათვის, დოკუმენტი შეიძლება გაიცეს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მიერ.

იუსტიციის ორგანო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას სასამართლო გადასახადებისა და ხარჯებისაგან გათავისუფლების შესახებ, ამ ხელშეკრულების 2-ე მუხლში გათვალისწინებული წესით, შეუძლია მოსთხოვოს დოკუმენტის გამცემ ორგანოს დამატებითი ცნობების მოწოდება.

## მუხლი 18

თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის სასამართლო აწესებს ვადას პირის მიერ, რომელსაც ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის გერიგორიაზე გააჩნია საცხოვრებელი ადგილი ან ადგილსამყოფელი, განსაზღვრული პროცესუალური მოქმედებების შესასრულებლად, ამ ვადის ათვლა იწყება მიმდებისათვის სასამართლო გადაწყვეტილების ასლის გადაცემის თარიღიდან.

## თავი 2

### სპეციალური დებულებანი

#### ნაწილი 1

სამართლებრივი დახმარება და სამართლებრივი ურთიერთობანი სამოქალაქო საქმეებზე

## მუხლი 19

მოქალაქის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს ეს პირი.

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა განისაზღვრება იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის კანონის თანახმადაც იგი იქნა დაფუძნებული.

## მუხლი 20

უკვალოდ დაკარგულად აღიარების და გარდაცვლილად გამოცხადების ან გარდაცვალების ფაქტის დადგენის საქმეებზე კომპეტენტურია იმ მხარის დაწესებულება, რომლის გერიგორიაზეც პირს გააჩნია უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი. ერთი მხარის ორგანოებს შეუძლიათ აღიარონ მოქალაქე უკვალოდ დაკარგულად ან გამოაცხადონ გარდაცვლილად, ასევე დაადგინონ გარდაცვალების ფაქტი, მის გერიგორიაზე მცხოვრებ პირთა შუამდგომლობით, თუ მათი უფლებები და ინტერესები ემყარება ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის კანონმდებლობას.

ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილში მოცემულ შემთხვევებში მხარეები

გამოიყენებენ თავიანთ კანონმდებლობას.

#### მუხლი 21

მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან არაქმედუნარიანად აღიარების საქმეებზე გამოიყენება იმ მხარის კანონმდებლობა და კომპეტენტური არიან იმ მხარის სასამართლოები, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს პირი, რომელიც უნდა იქნას აღიარებული არაქმედუნარიანად.

#### მუხლი 22

ქორწინება ფორმდება იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ქორწინება.

#### მუხლი 23

მეუღლეთა პირადი და ქონებრივი სამართალურთიერთობანი განისაზღვრება იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ გააჩნიათ საერთო საცხოვრებელი ადგილი.

თუ ერთი მეუღლე ცხოვრობს ერთი მხარის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე – მეორე მხარის ტერიტორიაზე, გამოიყენება იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის სასამართლოშიც იქნა წარდგენილი სარჩელი.

#### მუხლი 24

განქორწინების საქმეებზე გამოიყენება იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც მეუღლეები ცხოვრობდნენ განცხადების შეგანის მომენგისათვის.

თუ განქორწინების შესახებ განცხადების შეგანის მომენგში ერთ-ერთი მეუღლე ცხოვრობს ერთი მხარის ტერიტორიაზე, ხოლო მეორე – მეორე მხარის ტერიტორიაზე, გამოიყენება იმ მხარის კანონი, რომლის ორგანოც აწარმოებს განქორწინების საქმეს.

#### მუხლი 25

ქორწინების ბათილად ცნობის საქმეებზე გამოიყენება იმ მხარის კანონმდებლობა, რომელიც 22-ე მუხლის თანახმად გამოყენებული იქნა ქორწინებისას.

#### მუხლი 26

მამობის დადგენა და მამობის სადაოდ გახდენა განისაზღვრება იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც დაიბადა ბავშვი.

მამობის დადგენისა და მამობის სადაოდ გახდენის თაობაზე გადაწყვეტილების გამოგანისას კომპეტენტური არიან იმ მხარის სასამართლოები, რომლის ტერიტორიაზეც ბავშვს გააჩნია საცხოვრებელი ადგილი.

#### მუხლი 27

შვილად აყვანისას გამოიყენება იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეც არის შვილობილი.

შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების გამოცანაზე კომპეტენტურია იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის მოქალაქეც არის შვილობილი.

## მუხლი 28

მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობანი განისაზღვრება იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც მათ გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი.

თუ მშობლების, ან ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილი არის ერთი მხარის ტერიტორიაზე, ხოლო ბავშვის საცხოვრებელი ადგილი – მეორე მხარის ტერიტორიაზე, მაშინ მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობანი განისაზღვრება იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენს ბავშვი.

## მუხლი 29

ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მოქალაქეების მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეებზე კომპეტენტურია ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო, რომლის მოქალაქეც არის მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი. ამასთან, გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის კანონმდებლობა.

## ქონებრივი სამართალურთიერთობანი

### მუხლი 30

საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება უძრავი ქონება.

საკუთრების უფლება სახელმწიფო რეესტრში შეტანილ საგრანსპორტო საშუალებებზე განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება საგრანსპორტო საშუალებებზე რეგისტრაციის განმასრულებელი ორგანო.

ქონებაზე საკუთრების უფლების ან სხვა სანივთო უფლების წარმოშობა და შეწყვეტა განისაზღვრება იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ქონება იმ მომენტში, როცა ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც გახდა ასეთი უფლების წარმოშობის ან შეწყვეტის საფუძველი. საკუთრების უფლების ან სხვა სანივთო უფლებების წარმოშობა ან შეწყვეტა ქონებაზე, რომელიუ გარიგების საგანს წარმოადგენს, განისაზღვრება გარიგების დადების ადგილით მოქმედი კანონმდებლობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### მუხლი 31

გარიგების ფორმა განისაზღვრება მისი დადების ადგილის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გარიგების ფორმა უძრავი ქონებისა და მასზე არსებულ უფლებებზე განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ასეთი ქონება.

### მუხლი 32

ვალდებულება ზიანის ანაზღაურების შესახებ, გარდა ხელშეკრულებიდან და სხვა მართლზომიერი მოქმედებებიდან გამომდინარე, განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან გარემოებას, რომელიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა.

თუ ზიანის მიმყენებელი და დაზარალებული ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები არიან, გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის სასამართლოშიც განცხადება იქნა შეტანილი.

ამ მუხლის 1-ლი და 2-ე პუნქტით გათვალისწინებულ საქმეებზე კომპეტენტურია ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა ქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა. დაზარალებულს, ასევე, შეუძლია სარჩელი წარადგინოს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზეც მოქალაქეს გააჩნია საცხოვრებელი ადგილი.

### მუხლი 33

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები უთანაბრდებიან ხელშეკრულების მონაწილე მორე მხარის მოქალაქეებს, რომლებიც ცხოვრობენ ამ მხარის ტერიტორიაზე, ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე არსებულ ქონებაზე ანდერძის შედგენის ან მოშლის, ან სხვა უფლებებში, რომლებიც იქ უნდა იყოს განხორციელებული, ასევე მემკვიდრეობით ქონების ან უფლებების შეძენის შესაძლებლობაში. ქონება და უფლებები მათზე გადადის იგივე პირობებით, რაც დადგენილია ხელშეკრულების მონაწილე მხარის საკუთარი მოქალაქეებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ მათ ტერიტორიაზე.

### მუხლი 34

მემკვიდრეობის უფლება მოძრავ ქონებაზე განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის სამკვიდროს დამკვეთი სიკვდილის მომენტში.

უძრავ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ქონება იმყოფება.

### მუხლი 35

თუ ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა კანონმდებლობით სამკვიდრო ქონება, როგორც სახელმწიფოს მიერ კანონით დამკვიდრებული, გადადის სახელმწიფო საკუთრებაში, მაშინ მოძრავი ქონება იმ სახელმწიფო საკუთრებაში გადადის, რომლის მოქალაქეც იყო სამკვიდროს დამტოვებელი გარდაცვალების მომენტში, ხოლო უძრავი ქონება გადადის იმ სახელმწიფო საკუთრებაში, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება ეს ქონება.

### მუხლი 36

ანდერძის ფორმა განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც იყო სამკვიდროს დამტოვებელი ანდერძის შედგენის მომენტში. თუმცა საკმარისია დაცული იქნეს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც შედგა ანდერძი. ეს დებულება გამოიყენება ანდერძის გაუქმების მიმართაც.

### მუხლი 37

უძრავ ქონებაზე სამემკვიდრო საქმეთა წარმოებას ახორციელებენ ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის იუსტიციის ორგანოები, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება უძრავი ქონება.

მოძრავ ქონებაზე სამემკვიდრო საქმეთა წარმოებას ახორციელებენ ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის იუსტიციის დაწესებულებები, რომლის მოქალაქესაც წარმოადგენდა სამკვიდროს დამტოვებელი მისი გარდაცვალების მომენტში.

1-ლ და 2-ე პუნქტებში გათვალისწინებული დებულებანი გამოიყენება სამემკვიდრო საქმეებთან დაკავშირებულ დავებზეც.

### მუხლი 38

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ორგანოები თავისი კანონმდებლობის შესაბამისად დებულობენ ბომებს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქის მიერ მათ ტერიტორიაზე დატოვებული სამემკვიდრო ქონების დასაცავად.

სამკვიდროს დასაცავად ბომების მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანოები მოვალენი არიან ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქის გარდაცვალების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების და იმ პირთა შესახებ, რომლებიც თავიანთ უფლებებს აცხადებენ მემკვიდრეობაზე, ასევე მათთვის ცნობილი გარემოებების შესახებ, რომლებიც მემკვიდრეობაზე უფლების მქონე პირებს ეხება, მათი ადგილსამყოფელის, ანდერძის არსებობის, სამემკვიდრო ქონების მოცულობისა და ღირებულების და, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ბომებია მიღებული სამკვიდროს დასაცავად.

დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების მოთხოვნით მას გადაეცემა სამემკვიდრო მოძრავი ქონება და გარდაცვლილის

ლოკუმენტები.

### მუხლი 39

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას უფლება აქვს გამოვიდეს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ორგანოების წინაშე და წარმოადგინოს სამემკვიდრეო საკითხებთან დაკავშირებული საკუთარი მოქალაქეების ინტერესები, თუ ამ მოქალაქეებს ადგილზე არ ყოფნის ან სხვა საპატიო მიზეზების გამო არ შეუძლიათ თავის დროზე დაიცვან თავისი უფლებები და ინტერესები და არ დაუნიშნავთ რწმუნებული.

### მუხლი 40

სამემკვიდრეო საქმეებზე კომპეტენტური დაწესებულება ამ ხელშეკრულების 44-ე მუხლში გათვალისწინებულ შემთხვევებში იძლევა განკარგულებას სამემკვიდრეო ქონების დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულებებისათვის გადაცემის შესახებ.

ეს ქონება მემკვიდრეებს შეიძლება გადაეცეს, თუ:

ა) გადახდილი ან უზრუნველყოფილია სამკვიდროს დამგოვებლის კრედიტორთა ყველა მოთხოვნა ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, რომლის ტერიტორიაზედაც იმყოფება სამკვიდრო ქონება;

ბ) გადახდილი ან უზრუნველყოფილია მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი;

გ) კომპეტენტურმა ორგანოებმა, თუკი ეს აუცილებელია, გასცეს ნებართვა სამემკვიდრეო ქონების გაგანაზე.

ფულადი თანხების გადარიცხვა ხდება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 41

თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქე ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე მგზავრობის დროს გარდაიცვალა, სადაც მას არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ნივთები, რომლებიც მას თან ჰქონდა, აღწერილი სახით გადაეცემა ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას, რომლის მოქალაქეც იყო გარდაცვლილი.

გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

### მუხლი 42

ხელშეკრულების თითოეული მხარე ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ცნობს და აღსრულებს თავის ტერიტორიაზე ხელშეკრულების მონაწილე

მეორე მხარის გერიგორიაზე გამოგანილ შემდეგ გადაწყვეტილებებს:

ა) სამოქალაქო საქმეებზე გამოგანილ ქონებრივი სახის სასამართლო გადაწყვეტილებებს;

ბ) სასამართლო გადაწყვეტილებებს სისხლის სამართლის საქმეებზე მიანის ანაზღაურების ნაწილში;

გ) საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს სამოქალაქო საქმეებზე.

გადაწყვეტილებებში იგულისხმება სასამართლო და საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე, რომლებიც გამოგანილია ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ. გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ მუხლის 1-ლი ნაწილის ა) პუნქტშია ნახსენები იცნობა და აღესრულება, თუ ისინი გამოგანილია იმ სამართალურთიერთობების მიმართ, რომლებიც წარმოიშვა ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხება პირად სტატუსს, იცნობიან იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი გამოგანილია მოცემული ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეების გერიგორიაზე სპეციალური წარმოების გარეშე ხდება მეურვეობისა და მზრუნველობის, მმანის ორგანოებისა და სხვა დაწესებულებების მიერ სამოქალაქო და საოჯახო სამართლის საქმეებზე გამოგანილი გადაწყვეტილებების ცნობა, რადგან ეს საქმეები თავიანთი ხასიათით აღსრულებას არ ექვემდებარებიან.

#### მუხლი 43

გადაწყვეტილებები, რომლებიც მითითებულია 42-ე მუხლში, იცნობიან და აღესრულებიან ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის გერიგორიაზე, თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

ა) გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და ექვემდებარება აღსრულებას ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის გერიგორიაზეც იგი იქნა გამოგანილი.

ბ) ხელშეკრულების მონაწილე მხარის ორგანო, რომლის გერიგორიაზეც გამოგანილია განაჩენი, არის კომპეტენტური ორგანო მოცემულ საკითხებზე ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის გერიგორიაზეც უნდა აღსრულდეს გადაწყვეტილება;

გ) მხარე, რომლის წინააღმდეგ შეგანილია გადაწყვეტილება, დროულად და შესაბამისი წესით იქნა გამოძახებული სასამართლოში ხელშეკრულების იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის გერიგორიაზეც იქნა გამოგანილი გადაწყვეტილება.

დ) მხარეები არ იყვნენ მოკლებულნი შესაძლებლობას გამოეყენებინათ სამართლებრივი დაცვის საშუალებები, მიუხედავად მონაწილეობა სასამართლო განხილვაში გამოძახების საფუძველზე, ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი სასამართლო სხდომებზე მათი დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში.

ე) თუ იმავე მხარეებს შორის იმავე პროცესზე ხელშეკრულების მონაწილე მხარის გერიგორიაზე, სადაც უნდა მომხდარიყო გადაწყვეტილების აღსრულება, არ იყო აღრე გამოგანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლო ან საარბიტრაჟო

გადაწყვეტილება;

ვ) ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის სასამართლო არ აწარმოებს ადრე აღძრული საქმის წარმოებას იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით.

ზ) იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა იცნოს და აღსრულდეს გადაწყვეტილება, უნდა იყოს გამოყენებული ამ მხარის კანონი, გადაწყვეტილება იცნობა და აღსრულება მხოლოდ მაშინ, როდესაც

1) ეს კანონები ნამდვილად იქნა გამოყენებული ან

2) გამოყენებული ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის კანონები არ განსხვავდება არსებითად ამ კანონებისაგან.

თ) გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობის ძირითად პრინციპებსა და სამოგადობრივ წესწყობილებას, რომლის ტერიტორიაზეც გადაწყვეტილება უნდა იქნას ცნობილი და აღსრულებული.

#### მუხლი 44

გადაწყვეტილების აღსრულებაზე შუამდგომლობის განხილვის ნებართვა შედის ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლო კომპეტენციაში, რომლის ტერიტორიაზეც უნდა იქნას განხორციელებული აღსრულება.

შუამდგომლობა აღსრულების ნებართვაზე შეიგანება იმ სასამართლოში, რომელმაც გამოიგანა გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის საქმეზე. შემდეგ ეგზავნება იმ სასამართლოს, რომელიც კომპეტენტურია გამოიგანოს გადაწყვეტილება შუამდგომლობაზე.

შუამდგომლის რეკვიზიტები განისაზღვრება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა იქნას აღსრულებული გადაწყვეტილება.

#### მუხლი 45

შუამდგომლობას გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ თან უნდა ერთვოდეს:

ა) კომპეტენტური ორგანოს მიერ დამოწმებული იმ გადაწყვეტილების ოფიციალური ასლი, რომელიც უნდა იქნეს აღსრულებული, ხოლო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შუამდგომლობას – იმ შეთანხმების დამოწმებული ასლი, რომლის მიხედვითაც მხარეებმა იკისრეს ვალდებულება გადასცენ დავა განსახილველ არბიტრაჟს.

ბ) დოკუმენტის ორიგინალი, რომელიც ადასტურებს იმ გადაწყვეტილების გადაცემას, რომელიც უნდა აღსრულდეს, ან ოფიციალური ცნობა, რომელიც ადასტურებს, რომ გადაწყვეტილება სათანადო ფორმით ეცნობათ მხარეებს;

გ) ოფიციალური დოკუმენტი გადაწყვეტილების კანონის ძალაში შესვლის თაობაზე, თუ ეს არ გამომდინარეობს თავად გადაწყვეტილების ტექსტიდან, აგრეთვე მის აღსრულებაზე, თუ ეს გადაწყვეტილება ადრე აღსრულდა.

დ) დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ საქმეში მონაწილე მხარეები თავის ღრობე და სათანადო ფორმით იქნენ იმფორმირებული საქმის განხილვის თაობაზე, თუ

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც უნდა იქნას აღსრულებული, გამოგანილია მათი არ ყოფნის შემთხვევაში.

ე)იმ ღოკუმენტების დამოწმებული თარგმანები, რომელიც მოცემული მუხლის ა-ბ პუნქტებშია მითითებული.

#### მუხლი 46

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები ექვემდებარება აღსრულებას, თუ 43-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების გარდა, ისინი პასუხობენ შემდეგ პირობებსაც:

ა)ხელშეკრულების მონაწილემ იმ მხარის კანონით, სადაც უნდა აღსრულდეს გადაწყვეტილება, ეს საქმე შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;

ბ)საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;

გ)საარბიტრაჟო დაწესებულების შემადგენლობა შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ან საარბიტრაჟო დათქმას დაინტერესებულ მხარეთა შორის ან იმ ქვეყნის კანონს, სადაც ადგილი ჰქონდა არბიტრაჟს.

დ)მხარეები სათანადო წესით იქნენ შეგყობინებული არბიტრის დანშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე.

ე)საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სახელმწიფოში, სადაც იგი იქნა გამოგანილი, ითვლება საბოლოოდ.

#### მუხლი 47

თუ სასამართლოს აღსრულებაზე ნებართვის გაცემისას წარმოიქმნება ეჭვი, მას შეუძლია მოსთხოვოს ახსნა-განმარტება იმ პირს, რომელმაც აღძრა შუამდგომლობა გადაწყვეტილების აღსრულებაზე, აგრეთვე, დაკითხოს მევალე შუამდგომლობის არსზე და აუცილებლობის შემთხვევაში მოსთხოვოს განმარტება გადაწყვეტილების გამომგან სასამართლოს.

#### მუხლი 48

მევალეს შეუძლია განაცხადოს შესრულებასა და გადაწყვეტილების აღსრულებაზე ნებართვის გაცემაზე კომპეტენტურ სასამართლოში გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული დასკვნის აღსრულების თაობაზე საწინააღმდეგო აზრი, იმდენად, რამდენადაც ასეთი განცხადება დაიშვება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ორგანომაც გამოიგანა განცხადება.

#### მუხლი 49

აღსრულების წესი რეგულირდება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც უნდა იქნას აღსრულებული გადაწყვეტილება.

#### მუხლი 50

აღსრულებასთან დაკავშირებულ სასამართლო ხარჯების მიმართ გამოიყენება

ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიაზეც გადაწყვეტილება უნდა იქნეს აღსრულებული.

## მუხლი 51

სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა ან აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ითქვას, თუ:

ა)თუ შუამდგომლობის აღმძვრელ პირს ან მოპასუხეს პროცესში არ მიუღია მონაწილეობა იმის გამო, რომ მას ან მის წარმომადგენელს თავის დროზე და სათანადო წესით არ ჩაბარდა სასამართლოში გამოძახების უწყება.

ბ)თუ იმავე დავაზე იგივე მხარეებს შორის ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ტერიტორიაზე, სადაც უნდა მომხდარიყო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, ადრე იყო გამოგანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან თუ ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის დაწესებულების მიერ მოცემულ საქმეზე ადრე აღძრული იყო წარმოება.

გ)თუ ამ ხელშეკრულების დებულებების თანახმად და ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობის თანახმად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე მისი დაწესებულებების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება.

## მუხლი 52

ამ ხელშეკრულების შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის ტერიტორიიდან ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე ნივთების გადაცემისა და ფულადი თანხების გადაგზავნისას გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, რომლის ტერიტორიიდანაც უნდა იქნას გადაზიდული ნივთები და გადაგზავნილი ფულადი თანხები.

## მუხლი 53

ამ ხელშეკრულების მუხლები გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე არ ეხება ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ფულადი თანხების გადარიცხვისა და აღსრულების შედეგად შეძენილი ნივთების გადაზიდვის შესახებ არსებულ კანონმდებლობას.

## ნაწილი 2

სამართლებრივი დახმარება სისხლის სამართლის საქმეებზე

## მუხლი 54

ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის თხოვნით თავისი კანონმდებლობის შესაბამისად აღძრავს ან იღებს

სისხლის სამართლებრივ დევნას ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის გერიგორიაზე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი თავისი მოქალაქეების მიმართ.

დაზარალებულის მიერ ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად მის კომპეტენტურ დაწესებულებაში სათანადო ვადებში შეტანილი განცხადება სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის შესახებ ძალაშია ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის გერიგორიაზეც.

## მუხლი 55

თხოვნა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ან გადაღების შესახებ უნდა შედგეს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს:

- ა) შემკითხველი დაწესებულების დასახელებას;
- ბ) ქმედების აღწერას, რომელთან დაკავშირებითაც გაიგზავნა თხოვნა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ან გადაცემის შესახებ;
- გ) ქმედების ჩადენის დროისა და ადგილის რაც შეიძლება ზუსტ მითითებას;
- დ) ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის კანონის ტექსტს, რომლის საფუძველზეც ქმედება დანაშაულად არის მიჩნეული;
- ე) ეჭვმიტანილი პირის გვარსა და სახელს, მონაცემებს მისი მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შესახებ და სხვა მონაცემებს მისი პიროვნების შესახებ, აგრეთვე, შეძლებისდაგვარად, ამ პირის გარეგნობის აღწერას, მის ფოტოსურათსა და თითების ანაბეჭდებს;

ვ) დაზარალებულის განცხადებას კერძო ბრალდების საქმეებზე, ასევე მაგერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თუკი ასეთი არსებობს;

ზ) არსებულ მონაცემებს მიყენებული მაგერიალური ზიანის ოდენობის შესახებ.

თხოვნას თან ერთვის ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის გამგებლობაში არსებული წინასწარი გამოძიების მასალები და მტკიცებულებანი. იმ საგნების გადაცემისას, რომლებიც დანაშაულის ჩადენის იარაღს წარმოადგენენ, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ ხელშეკრულების 68-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებები.

თუ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ან გადაცემის შესახებ თხოვნის გაგზავნის მომენტში ხელშეკრულების 54-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად პირი პატიმრობაში იმყოფება ხელშეკრულების მონაწილე მხარის იმ გერიგორიაზე, რომელიც აგზავნის თხოვნას ასეთი დევნის აღძვრის შესახებ, იგი გადაიყვანება ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის გერიგორიაზე. მეორე მხარის გერიგორიაზე მყოფი პირის ეგაპირებაზე სანქციას იძლევა საქმის გამოძიებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი თანამდებობის პირი. ასეთი პირის გადაცემა ხორციელდება ამ ხელშეკრულების 68-ე მუხლი 1-ლი პუნქტის თანახმად.

## მუხლი 56

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულია კისრულობენ ამ ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად, თხოვნის საფუძველზე, სისხლისსამართლის პასუხისგებაში მისაცემად ან განაჩენის სისრულეში მოსაყვანად ერთმანეთს გადასცენ მათ გერიგორიაზე მყოფი პირები.

გადაცემა წარმოებს ისეთი ქმედებებისათვის, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარის კანონმდებლობით დასჯადია და რომელთა ჩადენისათვის გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთით ერთ წელზე მეტი ვადით ან სხვა უფრო მძიმე სასჯელი. გადაცემა განაჩენის სისრულეში მოსაყვანად წარმოებს, თუ პირი მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით 6 თვეზე მეტი ვადით ან უფრო მძიმე სასჯელით.

## მუხლი 57

გადაცემა არ მოხდება თუ:

ა) პირი, რომლის გადაცემის შესახებაც თხოვნაა გაგზავნილი, ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის მოქალაქეა, ანდა იგი ამ სახელმწიფოში სარგებლობს თავშესაფარის უფლებით;

ბ) სისხლისსამართლებრივი დევნა ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება კერძო ბრალდების წესით, დაზარალებულის განცხადებით;

გ) თხოვნის მიღების მომენტისათვის ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის კანონმდებლობით არ შეიძლება აღძრულ იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნა ან განაჩენი მოყვანილ იქნეს სისრულეში ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან სხვა კანონიერი საფუძველის გამო;

დ) პირის მიმართ, რომლის გადაცემის შესახებაც თხოვნა არის გაგზავნილი, ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე იმავე დანაშაულისათვის უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ან დადგენილება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

გადაცემაზე უარის თქმა შესაძლებელია, თუ დანაშაული, რომელთან დაკავშირებითაც ითხოვენ გადაცემას, ჩადენილია ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე.

გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში შემსრულებელმა მხარემ შეემკითხველ მხარეს უნდა აცნობოს უარის თქმის საფუძველები.

## მუხლი 58

თუ გადასაცემი პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული ან სასჯელს იხდის სხვა დანაშაულისათვის ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე, მაშინ მისი გადაცემა შეიძლება გადავადებული იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის დამთავრებამდე, სასჯელის მოხდამდე ან რაიმე კანონიერი საფუძველით გათავისუფლებამდე.

## მუხლი 59

თუ ამ ხელშეკრულების 58-ე მუხლით გათვალისწინებულ გადაცემის გადავადებამ შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადის გასვლა ან გაართულოს დანაშაულის გამოძიება, დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, შეიძლება მოხდეს დროებით გადაცემა იმ პირობით,

რომ გადაცემული პირი დაუყოვნებლივ იქნება დაბრუნებული იმ პროცესუალური მოქმედების ჩაგარების შემდეგ, რომლისთვისაც იგი იყო გადაცემული, ამასთან, იგი დაბრუნებულ უნდა იქნეს არაუგვიანეს სამი თვისა დღიდან გადაცემისა.

## მუხლი 60

თუ შუამდგომლობა პირის გადაცემის შესახებ რამდენიმე სახელმწიფოსაგან იქნა მიღებული, მაშინ საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი უნდა დაკმაყოფილდეს, წყვეტს ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე.

## მუხლი 61

ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის თანხმობის გარეშე არ შეიძლება გადაცემული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ან დასჯა სხვა დანაშაულისათვის, რაც გადაცემის საფუძველი არ ყოფილა. ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის თანხმობის გარეშე, ასევე, არ შეიძლება მისი გადაცემა მესამე სახელმწიფოსათვის.

ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის თანხმობა საჭირო არ არის, თუ პირმა სისხლისსამართლებლივი დევნის დამთავრების, სასჯელის მოხდის ან ნებისმიერი კანონიერი საფუძველით გათავისუფლების შემდეგ 15 დღის განმავლობაში არ დაგოვა ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორია ან თუ იგი ნებაყოფლობით კვლავ დაბრუნდა ამ ტერიტორიაზე. ამ ვადაში არ ჩაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც გადაცემულ პირს მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არ შეეძლო დაეგოვებინა ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორია.

## მუხლი 62

თხოვნა გადაცემის შესახებ უნდა იქნეს შედგენილი წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს:

- ა) შემკითხველი ორგანოს დასახელებას;
- ბ) ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის კანონის გექსტს, რომლის საფუძველზეც ქმდება დანაშაულად არის მიჩნეული;
- გ) იმ პირის სახელსა და გვარს, რომლის გადაცემის შესახებ არის გაგზავნილი თხოვნა, მონაცემებს მისი მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შესახებ და სხვა მონაცემებს მისი პიროვნების შესახებ, შეძლებისდაგვარად, მისი გარეგნობის აღწერას, მის ფოტოსურათსა და თითების ანაბეჭდებს;

დ) მითითებას მიყენებული მაგერიალური ზიანის ოდენობის შესახებ.

თხოვნას პირის გადაცემის შესახებ სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად თან უნდა დაერთოს პატიმრობაში აყვანის შესახებ დადგენილების დამოწმებული ასლი საქმის ფაქტიურ გარემოებათა აღწერით.

თხოვნას პირის გადაცემის შესახებ განაჩენის სისრულეში მოსაყვანად თან უნდა დაერთოს განაჩენის დამოწმებული ასლი, ცნობა მის კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ და სისხლის სამართლის კანონის გექსტი, რომლის საფუძველზეც პირს

მსჯავრი დაედო. თუ მსჯავრდებულმა უკვე მოიხადა სასჯელის ნაწილი, ხდება ამ მონაცემების შეგყობინებაც.

### მუხლი 63

გადაცემის შესახებ თხოვნის მიღებისთანავე ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე დაუყოვნებლივ დებულობს ზომებს გადასაცემი პირის პატიმრობაში ასაყვანად. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად პირის გადაცემა არ დაიშვება.

### მუხლი 64

ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელ მხარეს შეუძლია დამატებით გამოითხოვოს მონაცემები, თუ თხოვნა გადაცემის შესახებ არ შეიცავს ხელშეკრულების 62-ე მუხლში მითითებულ ყველა საჭირო მონაცემს. ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარემ ამ თხოვნაზე უნდა უპასუხოს არაუმეტეს ერთი თვის ვადაში; ეს ვადა საპატიო მიზეზით შეიძლება 15 დღით გაგრძელდეს.

თუ ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარე დამატებით მონაცემებს დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს, ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე ათავისუფლებს 63-ე მუხლის შესაბამისად პატიმრობაში აყვანილ პირს.

### მუხლი 65

გადაუდებელ შემთხვევაში პირი, რომლის გადაცემასაც მოითხოვენ, შუამდგომლობის საფუძველზე, შეიძლება აყვანილ იქნეს პატიმრობაში გადაცემის შესახებ თხოვნის მიღებამდე. შუამდგომლობას თან ერთვის პირის პატიმრობაში აყვანის შესახებ დადგენილების, ან ამ პირის მიმართ გამოგანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ასლი. შუამდგომლობაში უნდა იყოს მითითებული იმის თაობაზე, რომ თხოვნა გადაცემის შესახებ გამოიგზავნება დაუყოვნებლივ. შუამდგომლობა და თანმხლები დოკუმენტები გადაიცემა ნებისმიერი საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტის ყველა რეკვიზიტის გადაცემას (ფოსტა, ფაქსი და ა.შ.).

პირი შეიძლება დაკავებული იქნეს ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული შუამდგომლობის გარეშე, თუკი არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ მან ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე ჩაიდინა დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს გადაცემას.

ამ მუხლის 1-ლ და მე-3 პუნქტის თანახმად პირის პატიმრობაში აყვანის ან დაკავების შესახებ, აგრეთვე მიზეზებზე, რომლის თანახმადაც ამ მუხლის 1 პუნქტში მითითებული შუამდგომლობა არ იქნა დაკმაყოფილებული, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარეს.

ამ მუხლის 1 პუნქტის თანახმად, პატიმრობაში აყვანილი პირი უნდა გათავისუფლდეს, თუ თხოვნა მისი გადაცემის შესახებ დღიდან შეგყობინებისა მისი პატიმრობაში აყვანის თაობაზე ერთი თვის განმავლობაში არ იქნება მიღებული. ეს ვადა ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის თხოვნით შეიძლება გაგრძელდეს 15 დღით.

## მუხლი 66

ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარე, აცნობებს თავის გადაწყვეტილებას გადაცემის თაობაზე, ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველ მხარეს და მიუთითებს გადაცემის დროსა და ადგილზე.

თუ ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარე დადგენილი თარიღიდან 15 დღის განმავლობაში არ მიიღებს გადაცემ პირს, ეს პირი პატიმრობიდან უნდა გათავისუფლდეს. ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის თხოვნით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არაუმეტეს 15 დღისა.

## მუხლი 67

თუ გადაცემული პირი თავს აარიდებს სისხლის სამართლებრივ დევნას ან სასჯელის მოხდას და დაბრუნდება ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელი მხარის ტერიტორიაზე, მაშინ იგი, ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის თხოვნით, შეიძლება განმეორებით გადაეცეს. ამ შემთხვევაში ამ ხელშეკრულების 62-ე მუხლში მითითებული დოკუმენტების წარდგენა საჭირო არ არის.

## მუხლი 68

ხელშეკრულების მონაწილე მხარე, რომელსაც ეთხოვა გადაცემა, ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველ მხარეს გადასცემს საგნებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის იარაღს წარმოადგენდა რაც ამ ხელშეკრულების 55-ე მუხლის თანახმად იწვევს პირის გადაცემას, აგრეთვე იმ საგნებს, რომლებზეც არის დანაშაულის კვალი ან რომლებიც დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თხოვნის საფუძველზე, ეს საგნები იმ შემთხვევაშიც გადაეცემა, როცა პირის გადაცემა მისი გარდაცვალების ან სხვა მიზეზების გამო შეუძლებელია.

ხელშეკრულების მონაწილე შემსრულებელ მხარეს შეუძლია დროებით შეაჩეროს ამ მუხლის 1-ლ პუნქტში მითითებული საგნების გადაცემა, თუ ისინი მისთვის საჭიროა სხვა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისათვის.

ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარისათვის გადაცემულ საგნებზე მესამე პირის უფლებები ძალაში რჩება. საქმის წარმოების დამთავრების შემდეგ ეს საგნები უნდა დაუბრუნდეს ხელშეკრულების მონაწილე გადაცემ მხარეს.

## მუხლი 69

ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის თხოვნით ნებას იძლევა მის ტერიტორიაზე იმ პირთა საგრანზიგო გადაყვანის, რომლებიც მესამე სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარისათვის არიან გადაცემულნი. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებული არ არიან ნება დართონ იმ პირთა საგრანზიგო გადაყვანაზე, რომელთა გადაცემაც ამ ხელშეკრულების დებულებებით დაუშვებელია.

თხოვნა გადაყვანის ნებართვაზე ფორმდება და იგზავნება იმავე წესით, როგორც თხოვნა გადაცემის შესახებ.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა კომპეტენტური ორგანოები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ათანხმებენ გრანზიგის საშუალებას, მარშრუტსა და სხვა პირობებს.

საგრანზიგო გადაყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარე.

#### მუხლი 70

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის წარმომადგენლებს შეუძლიათ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ნებართვით დაესწრონ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის შესრულებას.

იმ დანაშაულთა ძიებისას, რომლებიც სახელმწიფოთაშორის ხასიათს ატარებს (ორგანიზაციული დამნაშავეობა, ნარკობიზნესი და სხვა) შეიძლება შექმნილ იქნას ერთობლივი ჯგუფები გამოძიების კოორდინაციაზე.

#### მუხლი 71

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თხოვნის საფუძველზე ერთმანეთ აწვდიან მონაცემებს მათი სასამართლოების მიერ აღრე მსჯავრდებულ პირთა შესახებ, თუ ეს პირები ხელშეკრულების მონაწილე შემკითხველი მხარის ტერიტორიაზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემიან.

#### მუხლი 72

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ერთმანეთს აცნობებენ იმ პირის სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგებს, რომლის მიმართაც გაგზავნილი იყო თხოვნა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის ან გაგრძელების თაობაზე, აგრეთვე მონაცემებს გადაცემული პირის შესახებ. თხოვნის საფუძველზე იგზავნება განაჩენის ასლი, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, ან სხვა საბოლოო გადაწყვეტილება.

#### მუხლი 73

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შეუძლიათ თხოვნის საფუძველზე ერთმანეთს მიაწოდონ მონაცემები კანონიერ ძალაში შესული განაჩენის შესახებ, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის სასამართლოების მიერაა გამოგანილი ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის მოქალაქეთა მიმართ.

#### ნაწილი 3

მსჯავრდებულთა გადაცემა

#### მუხლი 74

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მოქალაქეები, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან თავისუფლების აღკვეთით ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარის ტერიტორიაზე, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სასჯელის მოსახდელად გადაეცემიან იმ მხარეს, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.

მსჯავრდებულის გადაცემას სასჯელის მოსახდელად შეიძლება ადგილი ჰქონდეს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

## მუხლი 75

მსჯავრდებულის გადაცემა არ ხდება, თუ:

ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, ქმედება, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, დანაშაულს არ წარმოადგენს;

ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, სასჯელი არ შეიძლება აღსრულდეს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ან ამ მხარის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველით;

თუ ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ტერიტორიაზე, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, მან სასჯელი მოიხადა ან გამართლებული იქნა, ან საქმე შეწყდა, აგრეთვე, თუ პირი ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ სასჯელისაგან იქნა გათავისუფლებული;

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით არ იქნა მიღწეული შეთანხმება მსჯავრდებულის გადაცემის შესახებ.

## მუხლი 76

სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულის გადაცემა ხორციელდება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის წინადადებით, რომლის სასამართლომაც გამოიგანა განაჩენი, თუ ხელშეკრულების მონაწილე მხარე, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, თანახმაა მიიღოს იგი განაჩენის აღსასრულებლად.

ხელშეკრულების მონაწილე მხარემ, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, შეუძლია მიმართოს თხოვნით ხელშეკრულების მონაწილე მხარეს, რომლის სასამართლომაც განაჩენი გამოიგანა, რათა განიხილოს საკითხი მსჯავრდებულის გადაცემის შესაძლებლობის შესახებ.

მსჯავრდებულს, მის ნათესავებს ან კანონიერ წარმომადგენელს შეუძლიათ მიმართონ შუამდგომლობით მსჯავრდებულის გადაცემის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტურ ორგანოს, რომლის სასამართლომაც პირს მსჯავრი დასდო, ან ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტურ ორგანოს, რომლის მოქალაქეც იგი არის. ასეთი მიმართვის შესაძლებლობის შესახებ მსჯავრდებულს უნდა განემარტოს განაჩენის გამოგანისას.

## მუხლი 77

სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულის გადაცემის მიზნით ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტური ორგანო, რომლის სასამართლომაც გამოიგანა

განაჩენი, მიმართავს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტურ ორგანოს, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული.

მიმართვას თან ერთვის:

განაჩენის ან ბემდგომი სასამართლო ინსტანციების საქმეზე არსებული გადაწყვეტილებების დამოწმებული ასლები. ასევე, დოკუმენტები განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ;

დოკუმენტი მსჯავრდებულის მიერ სასჯელის ნაწილის მოხდის შესახებ და სასჯელის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც შემდგომში უნდა მოიხადოს;

დოკუმენტი დამატებითი სასჯელის აღსრულების შესახებ, თუ ასეთი დანიშნული იყო;

სისხლის სამართლის კანონის ტექსტი, რომლის საფუძველზეც პირი იქნა მსჯავრდებული;

მსჯავრდებულის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

მიმართვისა და მასზე დართული დოკუმენტების დამოწმებული თარგმანი.

ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტურ ორგანოებს, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლიათ გამოითხოვონ დამატებითი დოკუმენტები ან მონაცემები.

## მუხლი 78

ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტური ორგანო, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, რაც შეიძლება მოკლე ვადაში აუწყებს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტურ ორგანოს, რომლის სასამართლომაც გამოიგანა განაჩენი, თანახმაა თუ არა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით მიიღოს მსჯავრდებული.

მსჯავრდებულის გადაცემის ადგილი, დრო და წესი განისაზღვრება ორივე მხარის კომპეტენტურ ორგანოებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## მუხლი 79

მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდა ხორციელდება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, რომლის ტერიტორიაზეც ის იქნა მსჯავრდებული.

ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლო, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, გამოგანილი განაჩენის საფუძველზე ღებულობს გადაწყვეტილებას მისი აღსრულების შესახებ.

თუ ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობით, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული, მოცემული ქმედებისათვის თავისუფლების აღკვეთის ბდვრული ვადა უფრო ნაკლებია, ვიდრე განაჩენით არის დადგენილი, სასამართლო განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადას, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის კანონმდებლობით.

მსჯავრდებულის მიერ ხელშეკრულების მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მოხდილი სასჯელის ნაწილი სასჯელის მოხდის ვადაში ჩაითვლება.

განაჩენით დადგენილი დამატებითი სასჯელი, თუ იგი არ აღსრულებულა, გამოიყენება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის სასამართლოს მიერ, რომლის

მოქალაქეც არის მსჯავრდებული, თუ ჩადენილი ქმედებისათვის ასეთი სასჯელი გათვალისწინებულია ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის კანონმდებლობით. დამატებითი სასჯელი აღსრულება ამ მუხლით გათვალისწინებული წესით.

#### მუხლი 80

იმ პირის მიმართ, რომელიც სასჯელის მოსახდელად გადაეცა ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარეს, რომლის მოქალაქეც იგი არის, ღგება მსჯავრდების ისეთივე სამართლებრივი შედეგები, როგორიც ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის ტერიტორიაზე ასეთივე ქმედებისათვის მსჯავრდებულ პირთა მიმართ.

#### მუხლი 81

ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტური ორგანო, რომელსაც გადაეცა მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად, ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტურ ორგანოს, რომლის სასამართლომაც გამოიგანა განაჩენი, აცუობინებს ამ განაჩენის აღსრულებაზე სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ.

#### მუხლი 82

მსჯავრდებულის გადაცემამდე მოუხდელი სასჯელის აღსრულება, აგრეთვე სასჯელისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება ხორციელდება განაჩენის აღსრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც მსჯავრდებული გადაეცა.

მსჯავრდებულის შეწყალება ხორციელდება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის მიერ, რომელსაც ის გადაეცა სასჯელის მოსახდელად.

ამნისგია მსჯავრდებულის გადაცემის შემდეგ ხორციელდება ამნისგის შესაშებ გამოცემული იმ აქტების შესაბამისად, რომლებიც მიღებულია ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის მიერ, რომლის სასამართლომაც გამოიგანა განაჩენი და ასევე, ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის მიერ, რომლის მოქალაქეც არის მსჯავრდებული.

განაჩენის გადასინჯვა მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც გადაეცა ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარეს, რომლის მოქალაქეც ის არის, შეიძლება განახორციელოს ხელშეკრულების მონაწილე განაჩენის გამომგანი მხარის კომპეტენტურმა სასამართლომ.

#### მუხლი 83

თუ სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულის გადაცემის შემდეგ ხელშეკრულების მონაწილე განაჩენის გამომგანი მხარის კომპეტენტური სასამართლო შეცვლის განაჩენს, ამის შესახებ გადაწყვეტილების ასლი და სხვა აუცილებელი დოკუმენტები ეგზავნება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტურ ორგანოს, რომელსაც მსჯავრდებული გადაეცა. ხელშეკრულების მონაწილე მხარის სასამართლო, რომელსაც გადაეცა მსჯავრდებული, წყვეტს საკითხს ასეთი გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე ამ ხელშეკრულების 79-ე მუხლით

გათვალისწინებული წესით.

თუ სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულის გადაცემის შემდეგ ხელშეკრულების მონაწილე განაჩენის გამომგანი მხარის კომპეტენტური სასამართლო გააუქმებს განაჩენს ან შეცვლის, ამის შესახებ გადაწყვეტილების ასლი და მისი დამოწმებული თარგმანი აღსასრულებლად დაუყოვნებლივ ეგზავნება ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის კომპეტენტურ ორგანოს, რომელსაც მსჯავრდებული გადაეცა.

#### ნაწილი 4

დასკვნითი დებულებანი

#### მუხლი 84

აღნიშნული ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლიდან 30-ე დღეს.

#### მუხლი 85

ხელშეკრულება მოქმედებს ძალაში შესვლის დღიდან ხუთი წლის განმავლობაში. ხელშეკრულება ძალაშია შემდგომ ხუთწლიან პერიოდში, თუ ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარე არ მოახდენს მის დენონსაციას, ნოტიო აცნობებს რა ამის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ ექვსი თვით ადრე.

შესრულებულია ქ. თბილისში 1996 წლის 20 მარტს, ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ, თურქმენულ და რუსულ ენებზე, ამასთან ყველა ტექსტს თანაბარი ძალა გააჩნია. ხელშეკრულების დებულებათა განმარტებისას წამოჭრილი უთანხმოების დროს, უპირატესობით სარგებლობს რუსულ ენაზე შესრულებული ტექსტი.

საქართველოს სახელით

თურქმენეთის რესპუბლიკის სახელით